



# ტრანს-ენგურის ეკონომიკური ურთიერთობები: არგუმენტები რეგულაციის სასარგებლოდ

ნაწილი 2



Schweizerische Eidgenossenschaft  
Confédération suisse  
Confederazione Svizzera  
Confederaziun svizra



THIS INITIATIVE IS FUNDED  
BY THE EUROPEAN UNION



## “ინტერნეიშენელ ალერტის” (International Alert) შესახებ

International Alert ეხმარება ადამიანებს, კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებაში.

ჩვენ მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი მშვიდობის მშენებელი ორგანიზაცია ვართ, მშვიდობის დამყარების და განმტკიცების თითქმის ოცდაათწლიანი გამოცდილებით.

მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ვთანამშრომლობთ ადგილობრივ მოსახლეობასთან, ვებმარებიტ რა მშვიდობის დამყარებაში, ასევე, კონსულტაციებს ვუწევთ მთავრობებს, ორგანიზაციებსა და კომპანიებს მშვიდობის შენარჩუნების საკითხებში.

ჩვენი ძალისხმევა მიმართულია მშვიდობის განმაპირობებელ საკითხებზე, როგორცაა მმართველობა, ეკონომიკა, გუნდურული ურთიერთობები, საზოგადოებრივი განვითარება, კლიმატის ცვლილება და მაღალი საფრთხის ადგილებში ბიზნესისა და საერთაშორისო ორგანიზაციების როლი.

**[www.international-alert.org](http://www.international-alert.org)**

მოცემული ნაშრომი შეიქმნა ევროკავშირის, კონფლიქტების ბრიტანული ფონდისა და შვეიცარიის საგარეო საქმეთა ფედერალური დეპარტამენტის მხარდაჭერით. „ინტერნეიშენელ ალერტი“, მაღლიერებას გამოხატავს ჩვენი დონორების - დიდი ბრიტანეთის საერთაშორისო განვითარების დეპარტამენტის (UKAID), შვედეთის საერთაშორისო განვითარების საკითხებში თანამშრომლობის სააგენტოს, ნიდერლანდების საგარეო საქმეთა სამინისტროსა და ირლანდიის საგარეო საქმეთა და ვაჭრობის დეპარტამენტის მიმართ.

© International Alert 2015

ყველა უფლება დაცულია. დაუშვებელია მოცემული ნაშრომის ნებისმიერი ნაწილის გამოყენება, შენახვა საინფორმაცია-საძიებო სისტემის ფარგლებში ან გადაცემა ნებისმიერი, ელექტრონული, მექანიკური, ფოტო, ჩანაწერისა თუ სხვა საშუალებით, ავტორისა და წყაროს სრულფასოვანი მითითების გარეშე.

მაკეტი D. R. ink

გარეკანის ფოტო: თხილი თეთრ ტომარაში, Adisa/Shutterstock

# ტრანს-ენგურის ეკონომიკური ურთიერთობები: არგუმენტები რეგულაციის სასარგებლოდ

ნაწილი 2

აპრილი 2015

ავტორი: ნატალია მირიმახოვა

მკვლევარები: ვახტანგ ჭარაია, ლოლიტა ზადე და ირმა ჯგერენაია

## შინაარსი

შესავალი	3
კვლევის მიზნები	4
არაფორმალური ვაჭრობის კვლევის მეთოდოლოგია	5
შედეგები	7
ტრანს-ენგურის სავაჭრო ნაკადები	7
საქართველოდან შემოტანილი საქონლის გადანაწილება აფხაზურ ბაზრებზე	7
სოჭის ოლიმპიურ თამაშებთან დაკავშირებული ჰიპოთეზა	24
კვლევის მიგნებების შეჯამება	25
დასკვნა	26

## შესავალი

ტრანს-ენგურის ვაჭრობა ხორციელდება ქართველ და აფხაზ მეწარმეებს შორის იმ ვითარების გათვალისწინებით, რომ კონფლიქტურ მხარეებს შორის არ არის რაიმე სახის, მათ შორის ეკონომიკური კავშირები.<sup>1</sup>

ტრანს-ენგურის ვაჭრობის მონიტორინგმა, რომელიც მოიცავდა 2012 წლის აგვისტოდან 2013 წლის იანვრის ჩათვლით პერიოდს, აჩვენა რომ ვაჭრობის მოცულობა შეადგენდა დაახლოებით 15 მილიონ აშშ დოლარს.<sup>2</sup> ვაჭობას ჰქონდა მკვეთრად გამოხატული სეზონური ხასიათი. კერძოდ, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა ივლისი-აგვისტოში (1.5 მილიონი აშშ დოლარი თვეში), ხოლო ყველაზე დაბალი იანვარსა და თებერვალში (0.6-0.8 მილიონი აშშ დოლარი თვეში).

მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა ვაჭრობის შემდეგი მახასიათებლები:

1. სავაჭრო ნაკადების ასიმეტრიულობა: აფხაზური ბაზრის საქონლით უზრუნველყოფა ხორციელდება ქართველი მწარმოებლების ან შუამავლების მიერ. საქონლის ასეთი ცალმხრივი მიმართულებით მოძრაობა განპირობებულია ფასების ცვლილებასთან დაკავშირებული მოთხოვნა/მიწოდების ბალანსით.
2. აფხაზეთიდან ქართულ ბაზარზე სავაჭრო ნაკადის შემოდინებას განსაზღვრავს რამოდენიმე სახეობის სოფლის მეურნეობის პროდუქტზე, სახელდობრ თხილზე, მანდარინზე, კივსა და ფეიხოაზე<sup>3</sup> რუსეთსა და ევროპაში დაწესებული ფასი.
3. მდინარე ენგურის გავლით, აფხაზურ ბაზარზე შეტანილი ხილისა და ბოსტნეულის ყველაზე მსხვილ ჯგუფს მიეკუთვნება კარტოფილი, პომიდორი, კიტრი, ხახვი, ვაშლი და მათი მოცულობა შეადგენს რუსეთიდან და თურქეთიდან იმპორტირებული ანალოგიური პროდუქტების მთლიანი მოცულობის 20-40%-ს. ენგურის გავლით აფხაზეთში შეტანილი ავეჯი, საქართველოში წარმოებული და საქართველოში იმპორტირებული ჩათვლით, შეადგენს აფხაზეთში რუსეთიდან და თურქეთიდან პირდაპირი გადაზიდვით შეტანილი ავეჯის მთლიანი მოცულობის 40%-ს.
4. ქართველი მწარმოებლების მიერ აფხაზურ ბაზარზე შეტანილი კარტოფილის, კიტრის, პომიდორის, ხახვისა და ვაშლის საერთო მოცულობა 10-ჯერ აღემატება საქართველოს მიერ ამ პროდუქტების მთლიანი ექსპორტის ოფიციალურ მაჩვენებელს. ხორცისა და რძის პროდუქტების მიმოცვლა, ენგურის გავლით, უტოლდება საქართველოს მიერ ამ პროდუქტების მთლიან ექსპორტს სხვადასხვა მიმართულებით.
5. აფხაზეთში შეტანილი ავეჯის მოცულობა უტოლდება საქართველოდან ავეჯის მთლიანი ექსპორტის მაჩვენებლის 25%-ს.

არც ერთი მხარის ოფიციალური წარმომადგენელი არ ცდილობს მოახდინოს ამ ვაჭრობის ლეგალიზაცია ან მისი საერთოდ შეჩერება. ორივე მხარეს გააჩნია არსებული ვითარების შენარჩუნების საკუთარი მიზეზები.

ვაჭრობის ლეგალიზაცია იქნება კონფლიქტის ზონაში უსაფრთხოებისა და ნდობის აღდგენისაკენ გადადგმული მნიშვნელოვანი პოლიტიკური ნაბიჯი, რომლისთვისაც ჯერ არც ერთი მხარე არ არის მზად. პოლიტიკური თვალსაზრისით, ქართული მხარისათვის საქონელი, რომელიც კვეთს საზღვარს და შედის აფხაზურ ბაზარზე

1 ენგურის ჰიდროელექტროსადგური წარმოადგენს გამონაკლისს.

2 ნ. მირიმალივა (2013) „ტრანს-ენგურის ეკონომიკური ურთიერთობები: რეგულაციის მაგალითი“, საერთაშორისო განგაში, ლონდონი, [www.international-alert.org/resources/publications/trans-inguri-economic-relations-case-regulation-en](http://www.international-alert.org/resources/publications/trans-inguri-economic-relations-case-regulation-en).

3 გუავას ოჯახის ხილი.

წარმოადგენს შიდა ვაჭრობას ადმინისტრაციული საზღვრის გავლით, მაშინ როცა, აფხაზური მხარისათვის ეს არის საგარეო ვაჭრობა ეროვნული საზღვრის გავლით.

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) შესახებ ევროკავშირთან დადებული ხელშეკრულებით (ხელშეკრულება საქართველოსა და ევროკავშირს შორის ძალაში შევიდა 2014 წლის სექტემბერში) ნაკისრი ვალდებულებების ფარგლებში, საქართველო იღებს პასუხისმგებლობას, რომ საქონელი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს ევროკავშირის სტანდარტებს და რომელიც წარმოებულია იმ კომპანიების მიერ, რომლებიც არ არის შემოწმებული ევროკავშირის ლიცენზირებული ექსპორტების მიერ, არ დაარჩება ქართულ ბაზარზე, ვინაიდან ეს ქმნის ევროკავშირის ბაზარზე მისი შეუფერხებლად მოხვედრის საფრთხეს. ეს ნიშნავს, რომ საქართველოს ინტერესებში არ შედის ისეთი უკონტროლო საზღვრის ქონა, სადაც არ ვრცელდება ევროკავშირის სტანდარტები. გარდა ამისა, ჯერ კიდევ ძალაშია 2008 წელს რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ მიღებული კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ<sup>4</sup>, რომლის მიხედვითაც ნებისმიერი ეკონომიკური აქტივობა აფხაზეთში (მათ შორის სამეწარმეო) განიხილება, როგორც უკანონო. მეორე მხრივ, სადავო საზღვრის ორივე მხარეს მცხოვრები ქართველი მოსახლეობა დაინტერესებულია ამ ვაჭრობის გაგრძელებით, ვინაიდან მოსახლეობის უმრავლესობისათვის ეს წარმოადგენს შემოსავლის მთავარ წყაროს. ეს ნიშნავს, რომ საქართველოს მიერ ტრანს-ენგურის ვაჭრობის შეწყვეტა პრობლემებს შეუქმნის თანამემამულეებს, განსაკუთრებით გალში მცხოვრებ მოსახლეობას, რომლებიც წარმოადგენენ ყველაზე მოწყვლად ჯგუფს აფხაზეთში.

თავის მხრივ, აფხაზეთის ხელისუფლების წარმომადგენლები საზღვარზე საქონლის გადაადგილებას აღიქვამენ, როგორც კრიმინალურ ქმედებას. თუმცა, არაფორმალური ვაჭრობა მომგებიანია მასში ჩართული აქტორებისათვის. ის თანხვედრაში მოდის მყიდველთა ინტერესებთან და არ იქცევს საზოგადოებრივ ყურადღებას, იმდენად რამდენადაც საქართველოდან ხდება მხოლოდ სოფლის მეურნეობის და არა მარკირებული პროდუქციის შემოტანა და ამასთანავე ეს პროდუქტები არ გამოირჩევა რუსეთიდან და თურქეთიდან შემოტანილი მსგავსი პროდუქციისაგან. ბევრმა აფხაზმა იცის, რომ ბაზარზე ხელმისაწვდომია სვანური კარტოფილი და გორის ვაშლი და ცდილობენ კიდევ შეიძინონ კონკრეტულად ეს პროდუქტები, მათი ოპტიმალური ფასისა და ხარისხის თანაფარდობის გამო. მიუხედავად ამისა, ქართველებთან ვაჭრობის საკითხი საზოგადოებაში ტაბუდადებული თემად რჩება.

იმისათვის, რომ მხარეებმა მდგრადი სავაჭრო ურთიერთობების ფენომენი განიხილონ, როგორც ნდობის აღდგენის, კონფლიქტის ტრანსფორმირებისა და ადგილობრივი და რეგიონული უსაფრთხოების გაძლიერების პოტენციური კომპონენტი, უნდა მოხდეს ამ კომპონენტის შესწავლა და მისი სოციალური და ეკონომიკური მნიშვნელობის იდენტიფიცირება და ლეგალური კონტექსტის ჩამოყალიბება.

## კვლევის მიზნები

კვლევის მიზანს წარმოადგენდა 2013 წლის ნოემბერიდან 2014 წლის დეკემბრამდე პერიოდში ტრანს-ენგურის ვაჭრობის მოცულობისა და სტრუქტურის დადგენა. ეს იყო მონიტორინგის მეორე პერიოდი და მას წინ უსწრებდა ტრანს-ენგურის

4 იხილეთ ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ საქართველოს კანონის მე-6 მუხლი. ასევე იხილეთ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 3221-2 და 3222-2: ოკუპირებულ ტერიტორიაზე აკრძალული ეკონომიკური საქმიანობის წარმოების შესახებ: 1. ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ საქართველოს კანონით, ოკუპირებულ ტერიტორიაზე აკრძალული ეკონომიკური საქმიანობის განხორციელება დასჯადია და ითვალისწინებს ჯარიმას ან 3-დან 5 წლამდე პატიმრობას. 2. იგივე ქმედება განხორციელებული ა) ჯგუფის მიერ, ბ) განმეორებით დასჯადია და ითვალისწინებს ჯარიმას ან 4-დან 5 წლამდე პატიმრობას.

ვაჭრობის მონიტორინგი, რომელიც განხორციელდა 2012 წლის აგვისტოდან 2013 წლის იანვრამდე პერიოდში. ახალი მონიტორინგი კონცენტრირებული იყო ორ საკითხზე:

1. იმ ჰიპოთეზის შემოწმება, რომ რუსეთსა და აფხაზეთს შორის საზღვრის დაკეტვა სოჭის ოლიმპიური და პარაოლიმპიური თამაშების მსვლელობისას, 2014 წლის 7 იანვრიდან 21 მარტამდე და მოსამზადებელი პერიოდის განმავლობაში 2013 წლის ნოემბრიდან, გამოიწვევდა ტრანს-ენგურის ვაჭრობის მოცულობისა და ასორტიმენტის გაზრდას.
2. პირველი მონიტორინგის შედეგებმა გამოიწვია ქართველი და აფხაზი ექსპერტების, სამოქალაქო საზოგადოების, ხელისუფლებისა და ბიზნეს გაერთიანებების დაინტერესება. ამასთანავე, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მონიტორინგის მეორე ეტაპის განხორციელების შესახებ, რომელსაც ტრანს-ენგურის ვაჭრობის ინდივიდუალური, სეზონური და უფრო ზოგადად, უნივერსალური მახასიათებლების იდენტიფიცირებისათვის ნაწილობრივ უნდა მოეცვა პირველი პერიოდი.

## არაფორმალური ვაჭრობის კვლევის მეთოდოლოგია

ახალი მონიტორინგი განხორციელდა წინა მონიტორინგის განხორციელებისათვის შემუშავებული მეთოდოლოგიის გამოყენებით.<sup>5</sup> არაფორმალური ვაჭრობის მოცულობის დასადგენად მეთოდოლოგიის შემუშავებისას მკვლევარები წააწყდნენ მთელ რიგ გამოწვევებს:

- თემის პოლიტიზირება და აქედან გამომდინარე მოვლენის მითოლოგიზაცია აფერხებს მის ობიექტურ შეფასებას.
- არაფორმალური ვაჭრობის შესახებ სტატისტიკური მონაცემების არარსებობა.
- ვინაიდან, მდინარე ენგურის გავლით ვაჭრობას არაფორმალური ხასიათი გააჩნია და მეტწილად ფარულად მიმდინარეობს, შეუძლებელია საზღვარზე მოძრავი საქონლის მოცულობის რეგულარული ვიზუალური და დოკუმენტური შეფასება. ეს დაკავშირებულია მთელ რიგ პრაქტიკულ სირთულეებთან და იმავდროულად, რისკის შემცველია მკვლევარებისათვის. შესაბამისად, შეუძლებელია ტრანს-ენგურის ვაჭრობის ზუსტი რაოდენობრივი შეფასება. ამიტომაც, არაფორმალური ვაჭრობის გაზომვა განხორციელდა არაპირდაპირი ინდიკატორების მეშვეობით, რამაც შესაძლებელი გახდა ემპირიული შეფასების გაკეთება. ამ ინდიკატორების შერჩევა მოხდა იმის მიხედვით, თუ რამდენად იძლეოდნენ ისინი მდინარე ენგურის გავლით საქონლის მოძრაობის მოცულობის განსაზღვრის შესაძლებლობას.<sup>6</sup>
- არაფორმალური ვაჭრობის მონაწილეთა და დამკვირვებელთა შეფასებები ხასიათდება ნაკლები სანდოობით.
- ვერ მოხერხდა არაფორმალურ ვაჭრობაში ჩართული ადამიანების წარმომადგენლობითი და საკმარისად დიდი პოპულაციის შერჩევა. ამან შეუძლებელი გახდა არაფორმალური ვაჭრობის შესახებ სტატისტიკური მონაცემების ნაკლებობის სანაცვლოდ, კვლევის რაოდენობრივი მეთოდის გამოყენება. დაკვირვების შედეგად მიღებული ინფორმაციის სიმცირის გამო, შეუძლებელი გახდა ერთი მხრივ, არაფორმალურ ვაჭრობასთან და მეორე მხრივ სოციალურ, პოლიტიკურ და სხვა ფაქტორებთან დაკავშირებულ ცვლადებს შორის ჰიპოთეტური კავშირების ტესტირებისათვის რაოდენობრივი ანალიზის გამოყენება.

5 მ. მირიანოვა (2013)

6 მ. რაგი (2010) ჩრდილოვანი ეკონომიკის ზომა და დეტერმინანტები: ემპირიული სტრუქტურის ლატენტურ ცვლადებთან თანაფარდობის მოძიება, პირვანდელი ვერსია. ხელმისაწვდომია [http://www.propetersen.de/HGP-Homepage/projekte/schattenwirtschaft/Working%20Group%203/01%20Ruge\\_Determinants\\_and\\_size\\_of\\_the\\_shadow\\_economy\\_potsdam2010.pdf](http://www.propetersen.de/HGP-Homepage/projekte/schattenwirtschaft/Working%20Group%203/01%20Ruge_Determinants_and_size_of_the_shadow_economy_potsdam2010.pdf)

- კვლევის თემატიკამ და მკვლევარების წინაშე არსებულმა პერსონალურმა რისკებმა. პრობლემები შექმნა გრძელვადიანი საკვლევი კვლევების განხორციელების მიმართულებით.
- კვლევა უნდა იყოს გრძელვადიანი და უწყვეტი, თუმცა ეს მოითხოვს მნიშვნელოვან რესურსებს და ზრდის რისკებს მკვლევარებისათვის და კვლევის ობიექტისათვის.
- კონფლიქტური ვითარება კიდევ უფრო კომპლექსურს ხდის არაფორმალურ ვაჭრობასთან დაკავშირებული სირთულეების შეფასებას. კონფლიქტის ზოლის სხვადასხვა მხარეს მყოფი მკვლევარები ვერ ახერხებენ საპირისპირო მხარეს რამე სახის სამუშაოს განხორციელებას. ამასთანავე, კვლევისათვის შემუშავებული მიდგომა ითვალისწინებდა კონფლიქტის ზოლის ორივე მხარეს იდენტური სამუშაოების წარმოებას და შეგროვებული მონაცემების რეგულარულ შედარებას.

ზემოხსენებული სირთულეების მინიმუმაციის მიზნით მიღებულ იქნა შემდეგი გადაწყვეტილებები:

- კონცეპტუალური თვალსაზრისით, ტრანს-ენგურის ვაჭრობა აღქმულ იქნა როგორც კვლევის (ანალიტიკური ჩარჩო) და არა როგორც, განსჯის საგანი (პოლიტიკური, მორალური და სამართლებრივი ჩარჩო).<sup>7</sup> ეს მიდგომა იძლეოდა კვლევის საგნის დეპოლიტიზირებისა და ტრანს-ენგურის ვაჭრობის ობიექტური სურათის შექმნის, მასში ჩართული აქტორების მოტივაციის იდენტიფიცირებისა და ადგილობრივ და ეროვნულ დონეზე მისი ეკონომიკური მნიშვნელობის შეფასების შესაძლებლობას.
- მდინარე ენგურზე ტრანსპორტირებული საქონლის მოცულობის შეფასება განხორციელდა პირობითი ინდიკატორების მიხედვით, რომელთა შეგროვება მოხდა აფხაზეთისა და ზუგდიდის ბაზრების მონიტორინგის პერიოდში და ვაჭრობის ქსელში ჩართულადამიანებთან ჩატარებულ საუბრებზე დაყრდნობით.
- მონიტორინგი განხორციელდა ანთროპოლოგიური მეთოდების გამოყენებით: მკვლევარებმა სიღრმისეულად შეისწავლეს საკითხი, ჩამოაყალიბეს მათთან სანდო. ურთიერთობები და კავშირები, რამაც საშუალება მისცა მათ დაკვირვებოდნენ ვაჭრობას „შიგნიდან“. შემდეგ კი მოხდა გამყიდველებისა და მყიდველებისაგან მიღებული ინფორმაციის შედარება ბაზარზე დაკვირვების შედეგად მიღებულ მონაცემებთან.
- მონიტორინგი მოიცავდა ხანგრძლივ პერიოდს (პირველი ეტაპი მოიცავდა 6 თვეს და მეორე - 14 თვეს).
- მონიტორინგი ხორციელდებოდა ერთდროულად სავაჭრო ჯაჭვის ორივე მხარეს, ე.ი. კონფლიქტის ორივე მხარეს იდენტური მეთოდოლოგიის გამოყენებით. მკვლევარები შერჩეული ბაზრების უშუალო მონიტორინგს ახორციელებდნენ თვეში ერთხელ, მონიტორინგის მთელი პერიოდის განმავლობაში.
- მონიტორინგი ხორციელდებოდა მკვლევართა ჯგუფის მიერ. ყოველ ჯერზე ჯგუფის სხვადასხვა წევრი სტუმრობდა ბაზარს და ინფორმაციას იღებდა მყიდველებისა და გამყიდველებისაგან პირდაპირი საუბრების შედეგად. ამ მეთოდმა შესაძლებელი გახადა სხვადასხვა წყაროდან მიღებული მონაცემების შედარება.

<sup>7</sup> ტრანს-ენგურის ვაჭრობის ლეგალური კონტექსტის ანალიზი განხორციელდა ქართველი და აფხაზი ექსპერტების მიერ მონიტორინგის პირველი პერიოდის განმავლობაში და წარმოადგენს ცალკე კვლევის ნაწილს: იხ. ნ. მირიმახოვა (2013)



## შედეგები

### ტრანს-ენგურის სავაჭრო ნაკადები

2013 წელს გაიხსნა დამატებითი ორი საზოგადოებრივი გამშვები პუნქტი. დღეისათვის, მდინარე ენგურზე მოქმედებს ხუთი გამშვები პუნქტი. 2014 წლის სექტემბერში, აფხაზეთის ხელისუფლების წარმომადგენლები საუბრობდნენ ოთხი გამშვები პუნქტის დახურვის აუცილებლობაზე, თუმცა მონიტორინგის შედეგები აჩვენებს, რომ საქონლის გამშვები პუნქტების რაოდენობა იგივეა რაც 2013 წელს:

- ენგურის ხიდი, რომლითაც ხორციელდება საქონლის დაახლოებით 85%-ის ტრანზიტი;
- ე.წ. „ზედა ზონა“, ტერიტორია, რომლის გადაკვეთაც სირთულეებთანაა დაკავშირებული, მეჩხრადაა დასახლებული და რომელზეც მოდის ტრანს-სასაზღვრო ვაჭრობის დაახლოებით 5 %;
- ე.წ. „ქვედა ზონა“, უფრო მჭიდროდ დასახლებული ტერიტორია, რომლის გავლითაც ხორციელდება აფხაზეთსა და საქართველოს შორის ვაჭრობის დაახლოებით 10%.

2012 წელს, ტრანს-ენგურის ვაჭრობა დამოკიდებული იყო გალის ბაზრის არსებობაზე. ვინაიდან ვაჭრობა აქ კვირაში მხოლოდ სამი დღის განმავლობაში მიმდინარეობს (ოთხშაბათი, პარასკევი და კვირა), საქართველოდან ყოველ კვირას შემოტანილი საქონლის 2/3-ის შემოტანა ხორციელდება სწორედ ამ დღეებში.

### საქართველოდან შემოტანილი საქონლის გადანაწილება აფხაზეთ ბაზრებზე


კვლევის მეორე ეტაპზე, 2012 წლის მსგავსად, განხორციელდა საქართველოდან შეტანილი საქონლის აფხაზეთის სხვადასხვა ქალაქებსა და რეგიონებში გადანაწილების თავისებურებების შესწავლა და აღრიცხვა. საქართველოდან შემოტანილი საქონლისათვის ძირითად ბაზარს წარმოადგენს სოხუმი. კვლევის წინა პერიოდთან შედარებით, ზამთარში საქონლის პროცენტული მაჩვენებელი გაიზარდა 51%-დან 64%-მდე. არ შეცვლილა საქართველოდან შემოტანილი საქონლის მოხმარების ხვედრითი წილი ისეთ ქალაქებში, როგორცაა გუდაუთა, ოჩამჩირე და გალი და შეადგინა შეადგინა 6%, 4% და 14% შესაბამისი თანმიმდევრობით. ზამთრის თვეების განმავლობაში გაგრძედა საქართველოდან შეტანილი საქონლის ხვედრითი წილი დაეცა 12%-მდე, 2012 წლის ზაფხულში კი ეს მაჩვენებელი შეადგენდა 25%-ს. მიუხედავად ამისა, მომდევნო წლის ზაფხულში აფხაზეთის ბაზრებზე საქართველოდან შემოტანილი საქონლის გადანაწილების მაჩვენებელი 2012 წლის მონიტორინგის შედეგების იდენტური იყო. ამასთანავე შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოდან შემოტანილი და გაგრის ბაზარზე გაყიდული საქონლის ზაფხულის თვეების მაჩვენებელი აღემატება ზამთრის თვეების ანალოგიურ მაჩვენებელს.

### საქონლის სახეობა

ერთი მხრივ, 2013 წლის ნოემბრიდან 2014 წლის დეკემბრამდე და მეორე მხრივ, 2012 წლის აგვისტოდან 2013 წლის იანვრამდე პერიოდს შორის ვაჭრობა ერთმანეთისაგან განსხვავდება სტრუქტურულად, რაც გამოიხატა მონიტორინგის პერიოდში საქონლის მთლიან მოცულობაში არასასურსათო პროდუქტების ხვედრითი წილის შემცირებით: 2013 წლის ნოემბერში 30-40%-დან 2014 წლის დეკემბერში 2-5%-მდე (იხილეთ გრაფიკი 1-5). წინა მონიტორინგის პერიოდის განმავლობაში, არასასურსათო პროდუქტების ხვედრითი წილი სტაბილურად შეადგენდა 30-40%. ეს ცვლილება შეიძლება აიხსნას მთელი რიგი ფაქტორებით. პირველი, შესაძლებელი გახდა რუსული სავაჭრო ქსელების დილერებისაგან და მალაზიებიდან საგარანტიო მომსახურებით საყოფაცხოვრებო და ელექტრო-ტექნიკის შექნა. მეორე, რუბლის მნიშვნელოვნად გაუფასურება (მონიტორინგის პერიოდის დასაწყისში, 30-დან რუბლის კურსი დოლართან მიმართებაში 2014 წლის ბოლოსათვის გაიზარდა 60 რუბლამდე) ნიშნავდა, რომ საქართველოში შექნილი ტანსაცმლისა და


სხვა საქონლის ღირებულება, დოლარის კურსზე გაანგარიშებით 1,5-2-ჯერ უფრო გაძვირდა. აქედან გამომდინარე, ქართული საქონელი ნაკლებად მომგებიანი გახდა რუსეთიდან შემოტანილ საქონელთან შედარებით, რომლის ყიდვა რუბლშია შესაძლებელი.

**გრაფიკი 1.**




**გრაფიკი 2.**

საკვები და არასასურსათო პროდუქტების ხვედრითი წილი ტრანს-ენგურის ვაჭრობაში (აშშ დოლარში), თვეების მიხედვით, შეფასება აფხაზურ მხარეზე




**გრაფიკი 3.**

საკვები და არასასურსათო პროდუქტების ხვედრითი წილი (აშშ დოლარში), თვეების მიხედვით, შეფასება ქართულ მხარეს



**გრაფიკი 4.**


საკვები და არასასურსათო პროდუქტების ხვედრითი წილი ტრანს-ენგურის ვაჭრობაში (\$), ნოემბერი 2013-დეკემბერი 2014, შეფასება აფხაზურ მხარეს



■ საკვები პროდუქტები  
■ არასასურსათო პროდუქტები

**გრაფიკი 5.**

საკვები და არასასურსათო პროდუქტების ხვედრითი წილი ტრანს-ენგურის ვაჭრობაში (ტონა), ნოემბერი 2013-დეკემბერი 2014, შეფასება აფხაზურ მხარეს




■ საკვები პროდუქტები  
■ არასასურსათო პროდუქტები

მნიშვნელოვანი ცვლილებები დაფიქსირდა 2013 წლის ნოემბრიდან 2014 წლის დეკემბრამდე მონიტორინგის პერიოდში საკვები პროდუქტების ნაირსახეობებსა და მათი მოძრაობის მიმართულებებში, რაც განპირობებული იყო მსხვილი მყიდველების მიერ აფხაზეთიდან საქართველოში დიდი რაოდენობით თხილის გადმოტანით, შემდგომში ევროპულ ბაზარზე მისი რეალიზაციის მიზნით (იხ. გრაფიკი 6-9).

**გრაფიკი 6.**


მდინარე ენგურზე ტრანსპორტირებული საკვები პროდუქტების ხვედრითი წილი (\$), მათ შორის თხილი, ნოემბერი 2013-დეკემბერი 2014, ზუგდიდი



■ ბოსტნეული  
■ ხილი  
■ თხილი  
■ ხორცი და რძის პროდუქტები

**გრაფიკი 7.**


მდინარე ენგურზე ტრანსპორტირებული საკვები პროდუქტების მოცულობა (ტონა), მათ შორის თხილი, ნოემბერი 2013-დეკემბერი 2014, ზუგდიდი



■ ბოსტნეული  
■ ხილი  
■ თხილი  
■ ხორცი და რძის პროდუქტები

**გრაფიკი 8.**


მდინარე ენგურზე ტრანსპორტირებული საკვები პროდუქტების მოცულობა (\$), მათ შორის თხილი, ნოემბერი 2013-დეკემბერი 2014, აფხაზეთი



- ბოსტნეული
- ხილი
- თხილი
- ხორცი და რძის პროდუქტები

**გრაფიკი 9.**

მდინარე ენგურზე ტრანსპორტირებული საკვები პროდუქტების მოცულობა (ტონა), მათ შორის თხილი, ნოემბერი 2013-დეკემბერი 2014, აფხაზეთი




- ბოსტნეული
- ხილი
- თხილი
- ხორცი და რძის პროდუქტები

ტრანს-ენგურის ვაჭრობაში თხილი გამოჩნდა 2014 წლის ბოლო თვეებში (იხ. გრაფიკი 10).

**გრაფიკი 10.**


ყოველთვიურად მდინარე ენგურზე ტრანსპორტირებული საკვები პროდუქტების ღირებულება, მათ შორის თხილი, ნოემბერი 2013-დეკემბერი 2014, ზუგდიდი



- ბოსტნეული
- ხილი
- თხილი
- ხორცი და რძის პროდუქტები


### გრაფიკი 11.

ყოველთვიურად მდინარე ენგურზე ტრანსპორტირებული საკვები პროდუქტების ღირებულება (\$), მათ შორის თხილი, ნოემბერი 2013-დეკემბერი 2014, აფხაზეთი




### გრაფიკი 12.

ყოველთვიურად მდინარე ენგურზე ტრანსპორტირებული საკვები პროდუქტების მოცულობა (ტონა), მათ შორის თხილი, ნოემბერი 2013-დეკემბერი 2014, ზუგდიდი




### გრაფიკი 13.

ყოველთვიურად მდინარე ენგურზე ტრანსპორტირებული საკვები პროდუქტების მოცულობა (ტონა), მათ შორის თხილი, ნოემბერი 2013-დეკემბერი 2014, აფხაზეთი



**გრაფიკი 14.**


სხვადასხვა საკვები პროდუქტების ღირებულების პროცენტული მაჩვენებელი (\$), თვეების მიხედვით, ნოემბერი 2013-დეკემბერი 2014, აფხაზეთი



2012 წელთან შედარებით, 2014 წლის აგვისტო-დეკემბერში დაფიქსირებული ზრდის მაჩვენებელი განპირობებული იყო ტრანს-ენგურის ვაჭრობაში თხილის მოცულობის მატებით (იხ. გრაფიკი 15).

**გრაფიკი 15.**


მდინარე ენგურზე ტრანსპორტირებული საკვები პროდუქტების ღირებულება (ათასი \$)



სრულიად განსხვავებულ სურათს მივიღებთ, თუ თხილს გამოვრიცხავთ საკვები პროდუქტების მთლიანი მოცულობიდან (იხ. გრაფიკი 16). სხვა საკვები პროდუქტებით ვაჭრობის მოცულობა 2014 წლის აგვისტოდან დეკემბრამდე პერიოდში 50%-ით დაეცა. ვაჭრობის ასეთ კლებას ჰქონდა სეზონური ხასიათი: 2014 წლის აგვისტოში შემცირდა 70%-ით და 2014 წლის დეკემბერში 30%-ით, 2012 წლის აგვისტოსა და დეკემბერთან შედარებით.

**გრაფიკი 16.**

მდინარე ენგურზე ტრანსპორტირებული საკვები პროდუქტების ღირებულება, თხილის გამოკლებით (\$)






ბოსტნეულით ვაჭრობის მოცულობის თავისებურებები და 2012-2013 წლებთან მათი შედარება ნაჩვენებია 17,18,19 და 20 გრაფიკებით.


**გრაფიკი 17.**

ყოველთვიურად მდინარე ენგურზე ტრანსპორტირებული ბოსტნეულის ღირებულება, ნოემბერი 2013-დეკემბერი 2014 (ათასი \$)




**გრაფიკი 18.**

ყოველთვიურად მდინარე ენგურზე ტრანსპორტირებული ბოსტნეულის მოცულობა, ნოემბერი 2013-დეკემბერი 2014 (ტონა)




**გრაფიკი 19.**

მდინარე ენგურზე ტრანსპორტირებული ბოსტნეულის ღირებულება (ათასი \$)



**გრაფიკი 20.**

მდინარე ენგურზე ყოველთვიურად ტრანსპორტირებული ბოსტნეულის მოცულობა (ტონა)




შედეგები გვიჩვენებს, რომ წონის თვალსაზრისით ტრანსპორტირებული პროდუქტების მოცულობა დაეცა 2012 წელთან შედარებით, თუმცა უცვლელი დარჩა ტრანსპორტირებული ბოსტნეულის მთლიანი ღირებულება. ეს მიუთითებს ენგურის გავლით აფხაზეთში შემოტანილი ბოსტნეულის ფასის მატებაზე.

ხილით ვაჭრობის მოცულობის თავისებურებები და 2012 და 2013 წლების იმავე პერიოდთან მათი შედარება ასახულია 21, 22, 23 და 24 გრაფიკებზე.


**გრაფიკი 21.**

მდინარე ენგურზე ყოველთვიურად ტრანსპორტირებული ხილის ღირებულება, ნოემბერი 2013-დეკემბერი 2014 (ათასი \$)




**გრაფიკი 22.**

მდინარე ენგურზე ყოველთვიურად ტრანსპორტირებული ხილის მოცულობა (ტონა)




**გრაფიკი 23.**

მდინარე ენგურზე ტრანსპორტირებული ხილის ღირებულება (ათასი \$)



**გრაფიკი 24.**

მდინარე ენგურზე ტრანსპორტირებული ხილის მოცულობა (ტონა)




წონისა და ფასის თვალსაზრისით, მდინარე ენგურზე ტრანსპორტირებული ხილის მოცულობა მნიშვნელოვნად შემცირდა მონიტორინგის წინა პერიოდთან შედარებით. განსაკუთრებით აღსანიშნავია ქართული ხილის მოცულობის შემცირება მოსავლის აღების თვეებში, ზაფხულსა და შემოდგომაზე. ეს შეიძლება აიხსნას აფხაზური ხილის ხელმისაწვდომობით და ქართული ხილის რუსეთის ბაზარზე გატანის შესაძლებლობის გაჩენით.

ხორცითა და რძის პროდუქტებით ვაჭრობის მოცულობის თავისებურებები და 2012 და 2013 წლების ანალოგიურ პერიოდთან მათი შედარება ნაჩვენებია 25-ე და 26-ე გრაფიკებზე.

**გრაფიკი 25.**

მდინარე ენგურზე ტრანსპორტირებული ხორცისა და რძის პროდუქტების მოცულობა, ნოემბერი 2013-დეკემბერი 2014 (ათასი \$)



**გრაფიკი 26.**

მდინარე ენგურზე ტრანსპორტირებული ხორც-პროდუქტების მოცულობა, ნოემბერი 2013-დეკემბერი 2014 (ტონა)




**საქართველოდან შემოტანილი საქონელი აფხაზეთის საგარეო ვაჭრობაში**

აფხაზეთში შემოტანილი საქონლის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს ტრანს-ენგურის ვაჭრობა. ქართული კარტოფილი შეადგენს აფხაზეთში შემოტანილი კარტოფილის მთლიანი მოცულობის 14%-ს (იხ. გრაფიკი 27), ქართული პომიდორი 63%-ს (იხ. გრაფიკი 28), ქართული ხახვი 24%-ს (იხ. გრაფიკი 29), ქართული კიტრი 73%-ს (იხ. გრაფიკი 30) და ქართული ვაშლი და მსხალი 50%-ს (იხ. გრაფიკი 31). 2012 წელს ეს მაჩვენებლები იყო შესაბამისად 27%, 38%, 36%, 40% და 20%.


**გრაფიკი 27.**

აფხაზეთში შეტანილი კარტოფილის ღირებულება (პროცენტებში, ათასი \$) იანვარი-დეკემბერი 2014




**გრაფიკი 28.**

აფხაზეთში შეტანილი პომიდორის ღირებულება (ათასი \$), იანვარი-დეკემბერი 2014




**გრაფიკი 29.**

აფხაზეთში შეტანილი ხახვის ღირებულება (ათასი \$) იანვარი-დეკემბერი 2014




**გრაფიკი 30.**

აფხაზეთში შეტანილი კიტრის ღირებულება (ათასი \$), იანვარი-დეკემბერი 2014



**გრაფიკი 31.**

აფხაზეთში შეტანილი ვაშლისა და მსხლის ღირებულება (ათასი \$), იანვარი-დეკემბერი 2014




აფხაზეთში ტრანსპორტირებული სოფლის მეურნეობის პროდუქტების მოცულობა რეგულირდება ფასითა და მოთხოვნით. ენგურზე ტრანსპორტირებული პროდუქტების ზვედრითი წილი იცვლებოდა 15%-დან 70%-მდე, სეზონის, ფასისა და მოთხოვნის გათვალისწინებით.

**აფხაზეთში და აფხაზეთიდან ტრანსპორტირებული საქონლის თანაფარდობა საქართველოს მთლიან ექსპორტთან**

32-ე გრაფიკზე ნაჩვენებია აფხაზეთიდან თხილის შემოდინებისა და საქართველოდან მისი ექსპორტის სურათი.

**გრაფიკი 32.**

აფხაზეთიდან ზუგდიდში ტრანსპორტირებული თხილის და საქართველოდან ექსპორტირებული თხილის ღირებულება, იანვარი-დეკემბერი 2014 (ათასი \$)



აფხაზური თხილი შეადგენდა 2014 წელს საქართველოდან ექსპორტირებული თხილის მაქსიმუმ 10%-ს.

ცნრილი1 გვიჩვენებს, რომ ზუგდიდში ტრანსპორტირების მიზნით გალის ბაზარზე გაყიდული თხილის მოცულობა ყოველთვის არ ემთხვევა ზუგდიდის ბაზარზე შემოტანილი თხილის მოცულობას. ეს განპირობებულია იმით, რომ აფხაზეთში თხილით მოვაჭრეებმა წინა წელს შექმნილი თხილი შეინახეს მანამ, სანამ მისი ფასი არ მიუახლოვდა მათთვის სასურველ ნიშნულს. აქედან გამომდინარე, 2014 წელს გალის ბაზარზე გაყიდული თხილის მხოლოდ მცირე ნაწილი იქნა ტრანსპორტირებული ზუგდიდის ბაზარზე ენგურის გავლით. 2014 წლის დასაწყისში უფრო მკაცრად კონტროლირებადი გახდა აფხაზეთის საზღვარი, რითაც ასევე აიხსნება ენგურის გავლით თხილის ტრანსპორტირების შემცირება.

### ცნრილი 1.

	საქართველოდან ექსპორტი	აფხაზეთიდან შემოტანილი თხილის მოცულობა, აფხაზურ მხარეს განხორციელებული მონიტორინგი(გალი)	აფხაზეთიდან შემოტანილი თხილის მოცულობა, ქართულ მხარეს განხორციელებული მონიტორინგი (ზუგდიდი)
იანვარი	9,416,4	0	0
თებერვალი	6,260,6	0	0
მარტი	5,963,6,	0	0
აპრილი	3,551,2	30	0
მაისი	2,432,4	0	0
ივნისი	341,1	0	0
ივლისი	2,570,8	50	50
აგვისტო	38,725,9	1,400	1,400
სექტემბერი	37,902,4	1,800	1,800
ოქტომბერი	30,002,3	1,400	1,400
ნოემბერი	23,914,9	1,400	1,000
დეკემბერი	22,267,0	2,400	1,600


2014 წელს ენგურის გავლით განხორციელდა 2,185 ტონა თხილის ტრანსპორტირება, რომლის ღირებულებამაც შეადგინა 9,204,000 აშშ დოლარი. შედარებისათვის, 1,324,599 აშშ დოლარის ღირებულების 1,128 ტონა თხილის ექსპორტი განხორციელდა რუსეთში. რუსეთში ერთი ტონა თხილის საშუალო გასაყიდი ფასი შეადგენდა 1,174 \$-ს, მაშინ როცა ევროპის ბაზარზე მისი გაყიდვა შესაძლებელი იყო 4,212\$-ად. ამრიგად, სწორედ ფასმა განაპირობა თხილის აფხაზეთიდან ზუგდიდში მოძრაობის მიმართულება. გარდა ამისა, საქართველოში გასაყიდი ფასი იყო დოლარში ფიქსირებული, რაც განსაკუთრებით სასარგებლო იყო აფხაზი მეწარმეებისათვის, დოლართან მიმართებაში რუბლის გაუფასურების გამო.

2014 წელს ბოსტნეულის, ხილის, ხორცისა და რძის პროდუქტების ექსპორტის ღირებულება უტოლდებოდა ტრანს-ენგურის ვაჭრობის ღირებულებას. შედარებისათვის, 2012 წელს ბოსტნეულის გადინება ენგურის გავლით მნიშვნელოვნად აღემატებოდა საქართველოდან საერთაშორისო ექსპორტის მაჩვენებელს. ეს ნაჩვენებია გრაფიკებზე - 33, 34, 35.



**გრაფიკი 33.**

აფხაზურ ბაზრებზე შეტანილი ბოსტნეულის ღირებულება და ბოსტნეულის ექსპორტი საქართველოდან(ათასი \$)




გაიზარდა საქართველოდან ბოსტნეულის ექსპორტი და განხვავება ტრანს-ენგურის ვაჭრობასა და ექსპორტს შორის არ იყო იმდენად დიდი, როგორც ეს იყო 2012 წელს.

გარდა ამისა, გაიზარდა ხილის მთლიანი ექსპორტი საქართველოდან და შემცირდა ენგურის გავლით ტრანსპორტირებული ხილის ხვედრითი წილი (იხ. გრაფიკი 34).


**გრაფიკი 34.**

საქართველოდან აფხაზურ ბაზრებზე შეტანილი ხილის ღირებულება და საქართველოდან ხილის ექსპორტი (ათასი \$)



**გრაფიკი 35.**

საქართველოდან აფხაზურ ბაზარზე გატანილი ხორცისა და რძის პროდუქტების ღირებულება და ხორცისა და რძის პროდუქტების ექსპორტი საქართველოდან (ათასი \$)



- საქართველოდან მომდინარე ხორცი და რძის პროდუქტები აფხაზურ ბაზარზე, იანვარი-დეკემბერი 2014
- ხორცის და რძის პროდუქტების გატანა საქართველოდან, იანვარი-დეკემბერი 2014
- საქართველოდან მომდინარე ხორცი და რძის პროდუქტები აფხაზურ ბაზარზე, აგვისტო-დეკემბერი 2012
- ხორცის და რძის პროდუქტების გატანა საქართველოდან, აგვისტო-დეკემბერი 2012

რაც უფრო დიდია საქართველოდან ექსპორტირებული საქონლის მოცულობა, მით უფრო დაბალია აფხაზეთის ბაზარზე გატანილი საქონლის მოცულობა: ერთი მიმართულებით მაჩვენებლის მატება იწვევს მეორე მხარეს ტრანსპორტირებული პროდუქტის მოცულობის მკვეთრ შემცირებას. 2012 წელთან შედარებით 2014 წელს სოფლის მეურნეობის პროდუქტების ექსპორტის მნიშვნელოვნად გაზრდით აიხსნება ენგურის გავლით საქართველოდან აფხაზეთში ტრანსპორტირებული საქონლის მოცულობის აბსოლუტური და შედარებითი მოცულობების შემცირება.

## სოჭის ოლიმპიურ თამაშებთან დაკავშირებული ჰიპოთეზა

ტრანს-ენგურის ვაჭრობაზე 2014 წლის იანვრის სოჭის ოლიმპიური და პარაოლიმპიური თამაშების გავლენასთან დაკავშირებული თეორიის მიხედვით, ფსოლზე საზღვრის დაკეტვა გამოიწვევდა ვაჭრობის მატებას. რუსული მხარის განცხადებამ, 2013 წლის ნოემბრიდან ტრანსპორტისა და საქონლის გადაადგილების შეზღუდვის, ხოლო 2014 წლის 7 დეკემბრიდან საერთოდ აკრძალვის შესახებ, გავლენა მოახდინა ტრანს-ენგურის ვაჭრობაზე. ვაჭრობა გაიზარდა დეკემბერში და ტრანს-ენგურის ვაჭრობამ მიაღწია „ოლიმპიურ პიკს“. მყიდველებმა და ვაჭრებმა დაიწყეს საქონლისა და პროდუქტების მარაგის გაკეთება და არსებული რეზერვების მოგვიანებით გაყიდვა, რითაც აიხსნება მომდევნო თვეების განმავლობაში ვაჭრობის შემცირება. მიუხედავად იმისა, რომ ფსოლზე საზღვარი საბოლოოდ არ დახურულა, გამკაცრდა მდინარე ენგურის გასწვრივ საზღვარზე კონტროლი, რამაც ასევე განაპირობა ზამთრის თვეებში საქონლის მოცულობის შემცირება.

ვინაიდან საზღვარი მთლიანად არ დახურულა ტრანს-ენგურის ვაჭრობა მალევე დაუბრუნდა ჩვეულებრივ რუტინას.

## აკლავის შედეგების შეჯამება

- ტრანს-ენგურის ვაჭრობას ასიმეტრიული ხასიათი ჰქონდა, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ ძირითადად საქონელი მიედინებოდა საქართველოდან აფხაზეთში.
- ვაჭრობა ხასიათდებოდა სეზონური რყევებით.
- თხილის დიდი რაოდენობით გადადინება საპირისპირო მხარეს, საქართველოში განპირობებული იყო რუსულ და ევროპულ ბაზარზე თხილის ფასით: აფხაზეთიდან ზუგდიდის ბაზარზე შემდგომში ევროპულ ბაზარზე გასაყიდად ტრანსპორტირებული თხილის ფასი 7-ჯერ აღემატებოდა რუსეთში ტრანსპორტირებული თხილის ფასს, მიუხედავად ამისა ზუგდიდში გატანილი თხილის მოცულობა მხოლოდ 2-ჯერ აღემატებოდა რუსეთში გატანილი თხილის მოცულობას.
- 2014 წლის იანვარში სოჭის ოლიმპიურ და პარაოლიმპიურ თამაშებთან დაკავშირებით ფსოლზე საზღვრის გადაკეტვის გამო ტრანს-ენგურის ვაჭრობამ პიკს მიაღწია დეკემბერში. მყიდველებისა და გამყიდველების მიერ საქონლის მომარაგებამ კი ზამთრის თვეებში გამოიწვია ტრანს-ენგურის ვაჭრობის შემცირება. ის მალევე დაუბრუნდა ჩვეულ დონეს.
- ტრანს-ენგურის ვაჭრობის მთლიანი მოცულობა შემცირდა 2014 წელს, 2012 წელთან შედარებით. ეს განპირობებულია რამოდენიმე ფაქტორით:
  - რუსული რუბლის გაუფასურება, რომელსაც იყენებენ აფხაზეთში. ზუგდიდის ბაზარზე საქონლის ყიდვა შესაძლებელია ლარში, რომელიც მიზნულია დოლართან. შედეგად, ლარებში ნაყიდი საქონელი, რუბლში (ვალუტა, რომლითაც შესაძლებელია საქონლის ყიდვა აფხაზეთში) მისი კონვერტაციისას ნაკლებად მიზიდველი გახდა რუსეთიდან იმპორტის ფასთან შედარებით.
  - ოლიმპიურ თამაშებთან, პოლიტიკურ კონფლიქტთან და საგანგებო საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით მდინარე ენგურზე ადგილი ჰქონდა საზღვრის კონტროლის გამკაცრებას.
  - განახევრდა რუსეთის მიერ აფხაზეთისათვის გამოყოფილი დახმარება, რამაც განაპირობა შემოსავლის და შესაბამისად, მყიდველობითი ძალის შემცირება.
  - მნიშვნელოვნად გაიზარდა საქართველოს მიერ მდინარე ენგურზე ტრანსპორტირებული საკვები პროდუქტების მსგავსი სახეობების, კერძოდ ბოსტნეულისა და ხილის ექსპორტი. ამან განაპირობა აფხაზეთის მიმართულებით ამ პროდუქტების გადინების შემცირება.
  - თითქმის შეწყდა საყოფაცხოვრებო ტექნიკითა და ტანსაცმლით ვაჭრობა რუბლის გაუფასურებისა და აფხაზეთში ისეთი მაღაზიების გამოჩენის გამო, რომლებიც საგარანტიო მომსახურებით გასცემენ საქონელს.
- ზოგიერთ შემთხვევაში (პომიდორი, კიტრი და ვაშლი) ტრანს-ენგურის ვაჭრობა აღემატება რუსეთიდან და თურქეთიდან იმპორტს.

## დასკვნა

მდინარე ენგურის გავლით საქონლის მოძრაობაზე დაწესებული შეზღუდვებისა და კომერციული აქტივობებისათვის ამ არხის ოფიციალურად დახურვის მიუხედავად, ტრანს-ენგურის ვაჭრობა მიჰყვება ბაზრის წესებს. საქონლის მოძრაობას სადავო საზღვარზე, რომელიც ფორმალურად დახურულია კომერციული საქმიანობისათვის, არეგულირებს ფასი, მოთხოვნა, სეზონი და გაცვლის კურსი.

აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის „კორიდორის“ და ზემო ლარსის (აღნიშნული სამიდან ერთადერთი სასაზღვრო მონაკვეთი, რომელიც არ არის სადავო) გამშვები პუნქტის გავლით საქონლის მოძრაობის მონიტორინგის შესახებ შეთანხმების მიღწევა შექმნის მხარეებს შორის სადავო საზღვრების გახსნაზე და საქონლის მოძრაობის რეგულირების შესახებ დიალოგის დაწყების შესაძლებლობას. საქართველომ და რუსეთმა 2011 წლის ნოემბერში ხელის მოაწერეს შეთანხმებას, თუმცა ამის მიუხედავად არ ხორციელდება სადავო „კორიდორების“ გავლით მოძრავი საქონლის მონიტორინგი. ქართული მხარე აფხაზეთთან საზღვარს აღიქვამს როგორც ადმინისტრაციულ საზღვარს, აფხაზური და რუსული (რომელმაც აღიარა აფხაზეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ) მხარეებისათვის კი, ეს არის ეროვნული საზღვარი. მდინარე ენგურის გავლით საქონლის მოძრაობის რეგულირების საკითხის ჩასმა რუსეთსა და საქართველოს შორის WTO-ს შეთანხმების იმპლემენტაციასთან დაკავშირებული მოლაპარაკებების დღის წესრიგში, იქნებოდა პროცესების მშვიდობიანად წარმართვისაკენ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი.





**International Alert.**

346 Clapham Road, London SW9 9AP, United Kingdom

Tel +44 (0)20 7627 6800, Fax +44 (0)20 7627 6900

[info@international-alert.org](mailto:info@international-alert.org)

[www.international-alert.org](http://www.international-alert.org)

ISBN: 978-1-911080-20-6

 /InternationalAlert

 @intalert